

ნიანბი

№11 თბილისი 1945 წ.

ბათუმის წილი XXII

ბათუმის მუშაკთა „კომუნისტი“

ფანდი 2 მან

საქართველოს
საბჭოთაო
თავისუფლება

6/111

6

89



ახ. ღონისა

მოსურნი კაცი

გაიკვირებთ—ამ გაუბატონს რატომ ჰქვია „ორსული“:
 იგი „ორსის“ უფროსია, საწყობში ზის მორქმული,
 როგორც ხედავთ—ყლაპვის საქმე აფურში ჰქვს მოსული,
 შემწვარით და მოხრაკულით მუდამ გარემოცული—
 გაბერილი მოაბიჯებს—როგორც მართლა ორსული.

ერთი მოძალაძე

— შენ, შენ, მთვარის ჩრდილი
როგორ ნელა მიეპარა
თაკარა მზეს და მის კუთხეს
შავი კუთხით მიეფარა!

ეს ამბავი საოცარი,
მართლაც რაღაცნაირია:
მთვარის მისვლა-მოსვლის წესი,
თურმე ისე აირია,

რომ მან მზის და მიწის შუა
ზღუდე სურს რომ დაარბიოს
და გავიდეს—ესე იგი,
წესი უნდა დაარღვიოს!
აქ რომ იყოს რას უზამდით?

ერთი მილიციელი

— რას ვუზამდი? სიცოცხლე მაქვს
ვანანებდი სითამამეს!
შენ გგონია ჯარიმაში
დავუკლებდი ვითამ რამეს?

მივაკრავდი სამმაგ ქვითარს,
და სიმწრის ოფლს დავადენდი,
აქტს ფეხზევე შევუდგენდი —
სკამზე არც კი დავაჯენდი!

ერთი ბიუროკრატი

— რასა ბრძანებთ! მარტო ევა?
მე რომ ვიყო, მაკ თქვენს მთვარეს,
შტატში შევამცირებდი და
დავაწვევდი ამბავს ცხარეს,

თუმცა მზეც კი დოყლაპია
უნდა სჩანდეს ესლა თვითონ:
კარზე ველარ მიაწერა:
„ბეზ დაკლავა ნე ვხადიტ“ო?

ერთი სტუდენტი

— ტო!.. აზრზე ხარ? ცოტა დიდხანს
რომ დაბნელდეს ეგ მზე კიდევ
მე ლექციას არ მოვისმენ
იუზგრების გადამკიდე!

ერთ პროტექტორს გამოგნახავ,
სიტყვას ვიტყვი საპირფეროს
და ლექტორთან მივაგზავნი,
რომ ნიშანი დამიწეროს.

ერთი მოწაფე

— ბეჩა, ნეტა ეგ სიბნელე
არ მოსცილდეს მაგ მზის კერას,
ვიდრემდის მთლად მოვასწრებდე
მე შპარგალკის გადაწერას.—

რომ ათწლელი რაცხაფერათ
დავამთავრო უეჭველათ,
და უჩიტლად დევინიშნო
სხვის ბაღნების გასახდელათ.

კრიტიკოსი

— არიქა, მთვარე, გვიშველდე!
მზეს კუპრის ჩოდილად მოები,
რომ ხელში შეგვგრჩეს უშუქო
„თელასის საღამოები.“

ეგებ ჩვენს მწერლებს, პოეტებს
მუზა გაუცდეთ დროებით
და შეგვიმცირდეს საქებრად
„ჰალწყალა ნაწარმოები“!

ნახ. გ. ლომიძისა



თუმცა ნაცადი ხერხია
შენიღბვა ფაშისტურია,—
მაგრამ წაუხდა იონი,
(ბედი რა „უმაღურია“!)
და ორივე ფეხით გაება
ეს ფაშისტური მურია.

ერთი მაღაზიის გამყიდველი

— აი, დაშხომ! ასე უნდა:
რა სჯობია სიბნელესა?
საქონლის გადამალვაში
აგვაცილებს სიბნელესა!

მელუდე

— არა, ძმაო, ხელს არ მომცემს
მზე თუ ხშირად დაბნელდება:
აწყობილი ჩემი საქმე
აირევა, გაძნელდება:


დღისით, მზისით ჩემს საქაჩავს
მუდამ ვუმხერ თვალთ სწრაფით:
მესამედს რომ ლულს დავასხავ—
ორ მესამედს ვავსებ ქაფით!

რომ დაბნელდეს, ერთიც ვნახოთ,
ჩვენს დადგენილ წესსა ვცოდოთ
და ნახევარ ტიქის ნაცვლად—
საესე ტიქა მოგაწოდოთ!

ერთი თელახელი

— მადლობა ღმერთს, ბუნებაში
გამართლება არსებულა
მზე რომ მზეა—ისიც ოჯრემ
განუწყვეტილვ არ ნთებულა

და რა დიდი ამბავია,
ხან თელასმაც შუქი დახშოს?
ან ჩაუქროს მეცნიერსა,
და აუნთოს ყასაბ ბახშოს!



— ვაჟს! გეურქვან! ეს რა ყაიდის ჯიბეები დაგიკრებია?

— ვერ მისვლი? პატარა—პატონისანი შემოსავლისაა, დიდი კი ხალტურის.

— პაპიროსი, პაპიროსი... ამ დროს კოტე ერთი საშინლად აიფხორა და განაცხადა: — მე ის კაცი ვარ, რომელსაც პაპიროსით მოვაჭრე ბავშვების წინააღმდეგ ბრძოლა ენება. რა პაპიროსი გაქვს? — სავეციკი.—უბასუხა ტიტკომ. — აბა მაჩვენე. ტიტკომ პაპიროსი მისთავაზა. კოტემ გააბოლა. — ყოჩაღ!—წამოიძახა ჩემმა მეზობელმა, რიგითმა მაცურებელმა სვესტიმ,— ეს კაცი უსათუოდ დააჯარიმებს პაპიროსის გამყიდველს. ჩვენს მოლოდინს ასეთი შედეგი მოჰყვა: კოტემ ერთი სილა გააწნა ტიტკოს და შეუყვარა: — ვის ატყუებ, ეს როგორი სავეციკია; სხვა რაღაცა თამბაქო ჩაგიყრია. * * * ბავშვები იცინიან, მხიარული სცენები გრძელდება და ჩვენ, მაცურებლები, ისევე გულგრილად შეგყურებთ ამ თეატრალიზებულ სანახაობას, როგორც ყველა გამგეული მოქალაქე ნამდვილად მომხდარ ასეთ ამბებს.




ახალი გზები „დექორი“

ჩემს მეზობლად ფილოლოგიური ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტები ცხოვრობენ. ორივე შესანიშნავი ყმაწვილია, დინჯი, ნიჭიერი ადამიანები არიან. მესამე კურსამდე ისე მიადწიეს, არცერთ საგანში არ ჩაჭრილან. ახლა კი, ამ გაზაფხულზე არ ვიცი რა დამართათ ამ დღეებში, ერთ მშვენიერ საღამოს, ორივე დადარდნიანული, მოწყენილი, დახეტყვილები დაბრუნდნენ შინ. ჩაჭრილიყვნენ თურმე; ორიანები მიეღოთ საწყალობლებს, მერე ოხვრა ისმოდა ოთახიდან. ვერ მოვითმინე, გავედი მათთან. სახეები ნადვლიანი ჰქონდით, გავესაუბრე მათ და მათაც გულის დარდი შემომჩვივს. აი თურმე რა მოხდა იმ დღეს. დილით ადრე ადგნენ ისინი, მივიდნენ უნივერსიტეტში, შეადგეს ოთახის კარი, სადაც გამომცდელი იჯდა. ოტელოსავით შეგვგრემანი იყო გამომცდელი, ცეცხლს აფრქვევდათ თვალებით ახოვანი ვაჟკაცი, სხეზე ეტყობოდა პლატონზე და არისტოტელზე რომ ეთათა ღამეო საწყალობებს. გამომცდელი შეგვეკითხაო. — აბა, რენესანსზე მიაბნებ რამეო. რენესანსი კარგად ვიცოდითო. სწორედ წინა დღეს გავიწვირეთ სტენოგრაფიული ანგარიში ზურიკის ლექციისა (ეს ზურიკი ვინ არის, ამას მერე მიხვდები მკითხველო), ამიტომ თამამად დაიწყე თურმე ერთმა: — რენესანსის სქოლასტიკოსების მთავარი პრობლემა იყო პრობლემა ტვინეთისა... გამომცდელი უცნაურად დააფაჭულა თვალები, როცა ტვინეთი ახსენა სტუდენტმა. იმავე წამს გააჩერა სტუდენტი და მეორეს მიუბრუნდა: — ახლა თქვენ განაგრძეთ: — რენესანსის დროს მექანიკას ერთვოდა ნეოფორიკიოზი... გამომცდელი ახლა კი ვეღარ მოითმინა, ოტელოსებური ცეცხლიანი თვალები დააბრიალა და იყვირა: — გაბითურების მომენტულობას ვამჩნევ მე! სტუდენტებს გაუკვირდათ. — ასე გასწავლეს ამხანაგო გამომცდელი! — ვინ გასწავლათ ასე იმ სულელმა, ეს რა მომენტულობა შემომამარეთ თქვენ. სტუდენტებმა ლექციის კონსპექტი ამოიღეს და გამომცდელს უჩვენეს. სტენოგრაფიული ანგარიშს თავფურცელზე ეწერა: „სტენოგრაფიული ანგარიში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებული ლექციისა. თემა—რენესანსის კულტურა.“

ჩათვალეთა გამომცდელმა ეს ლექცია და აღშფოთებულმა იკითხა: — ვისა ეს ლექცია? — ეს ლექცია ლექტორმა ზურიკმა წაიკითხა 1944 წლის 15 დეკემბერს. — მომგვარეთ აქ ზურიკი. ზურიკი სტუდენტებმა სასწრაფოდ შემოიყვანეს. — კოლეგა ზურიკ—უთხრა მას გამომცდელმა— თქვენს ლექციაში ფრიად გაუგებარი ამბები სწერია. — აბა მიჩვენეთ, მეგობრებო!— სთქვა ზურიკმა. გამომცდელმა უჩვენა. — აჰ, ეს სტენოგრაფისტი შეცდომებია, ტვინეთი კი არა ტრინიტეტი უნდა იყოს, ნეოფორიკიოზის ნაცვლად უნდა ეწეროს ნეოპოთაგორიოზი. სხანს ჩემი იდეები დაღუბანისებობათ ჯერ სტენოგრაფისტს და მერე მემანქანეს. უსირცხვილოები! შეგელის ლექციებისაც ასე ჩაიწერდნენ, როცა კათედრაზე იდგა ხოლმე გეორგ ფრიდრიხ ვილჰელმი, მაგარამ... — კათედრიდან სამიგენი ერთად ლაპარაკობდნენ ბატონო?— შეეკითხა ზურიკს მეკარე, რომელიც შემთხვევით იქვე იდგა და რომელსაც დავალებული ჰქონდა, რომ აუდიტორიებში წესრიგი დაეცვა, რათა მაგალითად—ერთ სკამზე ორი არ დამჯდარიყო, ან კათედრაზე სამი კაცი ერთად არ ასულიყო და ერთად არ ელაპარაკნათ. მეკარის სიტყვები რომ გაიგონა, ზურიკი გაცეცხლებული მოუბრუნდა მას: — თქვენც ამანხიჯებთ ჩემს ნათქვამს, ისევე როგორც დამანხიჯეს ჯერ სტენოგრაფისტმა, მერე მემანქანემ, ახლა ეს მეკარე მომიგზავნეს, აი ასე მეტბრძვიან. თქვენ უნდა მოგესხნებოდეთ, რომ გეორგიც, ფრიდრიხივ და ვილჰელმიც ერთ კაცს ერქვა და სამიგენი ერთად ლაპარაკობდნენ. — საოცრებაა— ჩაილაპარაკა მეკარემ— ხან თითქოს ერთი კაცია, ხან სამი! ღმერთო ჩემო, რა უცნაური ხალხია ეს ფილოსოფოსები! ზურიკი კი კვლავ წყრებოდა: — მე მამანხიჯებენ, ისე როგორც მოსე მენდელსონმა დამანხიჯა სპინოზა, როგორც დამანხიჯა არისტოტელე იბნ-ადამ— არაბმა ფილოსოფოსმა, რომელსაც იხსენიებს აბულ-ფარაჯი. ჩემს იდეებსაც ასე ამანხიჯებენ. და ზურიკმა გამომცდელის კაბინეტი დემონსტრაციულად დასტოვა.

გამოცდა კვლავ გრძელდებოდა, სტუდენტები ისევ პასუს იძლეოდნენ იმავე სტენოგრაფიული ჩანაწერის მიხედვით. ლექტორმა იკითხა: აბა რას მეტყვიოთ რენესანსზე? — რენესანსის დროს, ბატონო, ყველაფერი ანტიკური იდეალი იყო. ამ მხრივ ისინი ცოტა არ იყოს აჭარბებდნენ. იმ დროს ახალი კი არ იქნებოდა, არამედ განმეორებას ჰქონდა ადგოლი, ჰუმანისტები მხოლოდ იგონებდნენ ძველს, ახალს არ ჰქმნიდნენ, მხოლოდ ბაძავდნენ ანტიკურ კულტურას. — შეცდომაა— დაიძახა გამომცდელი.— სად ისწავლეთ ეს, ვინ გითხრათ, ვინ მოჩამა ეს? — ზურიკმა ასე გვასწავლა, ბატონო! — ყმაწვილო, რას დაგიჩემებიათ ეს ზურიკი, რომელი ავტორიტეტი ის მოჩამეთ? — რა ვქნათ, ბატონო, ზურიკმა ასე თქვა დიდი მოაზროვნე ვარ მეო და ავტორიტეტი არ დამირღვიოთო. — კარგი აბა— სთქვა გამომცდელმა— ახლა მითხარით მაინც რა გასწავლათ ამ ზურიკმა რენესანსის შესახებ? სტუდენტმა დაიწყო: — იმის გაკეთება უნდოდათ რენესანსის დროს, რომ დაეწვიათ ქრისტიანული დოგმები, თეოლოგიური ქეშმარიტება, ფილოსოფიური ანალიზიდან და გამოცხადებინათ, რომ ის, რაც ფილოსოფიაში არის ქეშმარიტი, თეოლოგიაში არ შეიძლება არ იყოს ქეშმარიტი, რელიგიის თვალსაზრისით ქეშმარიტება არ იყო ქეშმარიტება მეცნიერებაში. — შესწავლიეთ, ვინ გასწავლათ ეს? — ზურიკმა, ბატონო! — წყუელიმც იყოს ზურიკი, კიდევ სხვა რა გასწავლათ? — დანარჩენი აღარ გვასწავს ბატონო, რაღაცას მიედ-მოედებოდა! გამომცდელმა ეკვიანად ჩაიცინა და სტუდენტებს ორიანები დაუწერა. მას შემდეგ ისინი სწყევლიან იმ დღეს, როცა ზურიკმა მათ ლექცია წაუკითხა რენესანსის კულტურის შესახებ.

„კარგი იქნის შვილი“



1. დედა ენაცვალის დამამხრელი შვილი, მე-10 კლასში წესს შეირღვევინა, რის აღმასწავლებელს მისთვის ხატუნას ახალი კოტონი შეუკრთინა და ღვინო მიუღწივს გულში დარდი არ ჩარჩენილა.
 2. შუაჩე დღეს ღვინობარტყული დილიცა შეხვდა იკადამტრეხულ მასწავლებელს და წუთი-წუთს მზალია, არ უნდა შეხვედროდა ქებას ისეთი მოწოდებ, რომელსაც მღვდლებს საქმე მაინა!
 3. სწული დიდიცო, ჰაპის მისცეს ხუდღენიზიზიზის, მაგრამ ავტორიტეტში მამა ხაერია საქმე-მარტენია.
 4. მთლილი ირთილე სო დილიცა დაკავებულ მთლიცას საბორი რევიზო, იმუბან კამბოლომბიდაპის მამბუქს წახვდა და ზარის წახვი რაც უნდა, წავივლეს ცხად ახალი კოტონი არ ცუდა და დარჩენილ ვალ მშობლებსა დაფარე მამბუქსა შვილს დილიცას, ენაცვალის იმამ დედა, ხომ არ შეარცხებენ?
 5. დედა და კოტონი ვეღო დილიცას, დილი უფარს და შირიკე მშობლებს შეუწილა ცუდა, ამიტომ ღვინო ქუჩაში გამოვიდა, პირველ შემხედდეს, ხელები მაღალ შეუქანა, ტანსუ განხა და მერი მიუწი, მოხეცა. (შეხვედრის მართალია, შეხვედროდა ხელს ქუჩაში!) მაგრამ ახალი ბიჭი, დილიცა ისევ დილიცა, ვეღო იმედაია მამა ჩიერი და კლავ იმამა შვილი განხადილი.
 6. ში და დილიცას ხელებსებინა მშობლებს ასეთი თავგანმცხება, არ დილიცა თუ! ერთ დღეს მამა არცუფნის დროს იქნის განხედავა-დაცხი, დათრეხი უფროხე მშობლი მნიშლით, იმე-
 7. მშობლები რომ ხანდღერ, დედა ცივი, უფრეს, იტყვის, მთლი-
 8. მშობლები რომ ხანდღერ, დედა ცივი, უფრეს, იტყვის, მთლი-
 ცის შეხვედრითი მთლიცამ ვაგს მიავნო და დილიცა შეიკრეს, ამას იმ დამოუკიდებელი ახალგაზრდასა, რაღა უნდა, ავტორიტეტში მამამ ხაერ მამამიზინა. (ახა, ხაერ ხომ ვინ გამოიტყმა!).

*) ახალგაზრდათაგან დაიღვრა ჩვენი ქვეყნის მშენებელ და სწორი დღე-ღამის დროსვე ახალგაზრდებს ახალი, დათრეხი უფროხე მშობლი მნიშლით, იმე უფრესი თან მოთით.
 მაგრამ უკარ კოტონი მოიკვებინა ისეთი ახალგაზრდები, რომელთა ცუდი უფრესი, ხუდღენიზი და ჯიჯიკოთიზიზიზი ახალგაზრდის სახეზე სახელს, საყრდენად ამ ბოლი დროს დილიცა ცივი უფრესი მნიშლით, იმე უფრესი მნიშლით.
 მათი ვიკრეხილენ თავიანი მფრეხილით და ავტორიტეტის დამოუკიდებელი უფრესი, ხაერ ხომ, ხანდღერ, დედა ცივი, უფრეს, იტყვის, მთლი-
 ცის შეხვედრითი მთლიცამ ვაგს მიავნო და დილიცა შეიკრეს, ამას იმ დამოუკიდებელი ახალგაზრდასა, რაღა უნდა, ავტორიტეტში მამამ ხაერ მამამიზინა. (ახა, ხაერ ხომ ვინ გამოიტყმა!).



„საქმიანი“ ახალგაზრდები

„მეფილი“ ახალგაზრდები გამოცდის წინ

ყიზილბაშნი, საკინოზნი და უკუზნი

ანუ



ქართული ორიენტიზაცია

ქმასწინად ტრამვაიში ერთი მურაც მოხვდა, გაუქვირდა, რაც იქ ნახა, რაც მის თვალწინ მოხდა, სკამქვეშ შეძვრა, გაინაბა, დაემსგავსა მკვდარსა, და ისმენდა მგზავრებისგან ასეთ საუბარსა:

— ოხოხოხო, ნელა მხეცო, უყურეთ ამ ნადირს!

ცილინდრი კი ჰხურავს, მაგრამ სპილოსავით დადის.

— თქვენ ბაზართან ხომ არ ჩახვალთ, გამატარეთ ჩქარა!

— რავალ თვარა... შენ ვინ გკითხავს?

— შეზე მეტიჩარას!

— რაო, რაო? შენ რა ბრძანე? როგორ წახდი ასე? თავი რომ გავსივბია, თივითა გაქვს სავსე!

— ნელა კაცო, რატომ მაგლეჯ ამ პიჯაკზე ღიღებ? ბრაზიანი ნაგაზივით რატომ მიკრეპ კბილებს!

გაოცებით ყურს უგდებდა ამ საუბარს ძალლი და უქვირდა ვაგონია, თუ გიყვების სახლი? „ძალლი მე ვარ, მაგრამ მეც კი შემაშინეს ღრენით, აფსუს, თქვენი განათლება და ზრილობა თქვენი!“

ესა სთქვა და ტრამვაიდან ჩახტა გულნატკენი.

კ. გელათელი

კურორტის ექიმი

ჩამოდენიმეჯერ შემოუარა თავის სამფლობელოს კურორტის აბანოების ექიმმა და სრულიად დამზვიდებული მიუჯდა სამუშაო მაგიდას. ისეთი თვალებით იყურებოდა, თითქოს მის სამფლობელოში ყველაფერი რიგზე იყო.

— წყალი ამოდის — წყალი გადის, ხალხი ჩადის აბაზანაში, ხალხი ამოდის. არსად დაბრკოლება არ არის. — ფიქრობდა იგი. დანარჩენი საქმეები თვითონ სამმართველომ მოაგვაროს. მე რა შუაში ვარ?

მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა მისი ასეთი დამზვიდებული ცხოვრება. მისის მეორე ნახევრიდან კურორტს ბევრი ხალხი მოაწყდა. ამავე დროს დაიწყო გადაუღებელი წვიმები. ერთერთ ასეთ წვიან ღღეს მას გამოუძახეს სამმართველოში.

— დაბრძანდი აბაზანაგო — უთხრა მას უფროსმა. ექიმი ჩამოჯდა. — ავადმყოფები ჩივიან, — განაგრძო უფროსმა, — ბაყაყების ყიყინი გვაწუხებსო. ვინ უნდა მოუღოს მათ ყიყინს ბოლო, თუ არა შენ? გამოიგონე ისეთი საშუალება, რომ ხვალდან ბაყაყის კრინტი არ ისმოდეს.

ექიმმა სკადა შეკამათება, უნდოდა დაემტკიცებინა, რომ ეს მის მოვალეობას არ შეადგენს, რომ ბაყაყების წინააღმდეგ ბრძოლა უშუალოდ არის დაკავშირებული არხების გასუფთავებასთან, ქაობების მოსპობასთან. მაგრამ მას მტკიცება არ უსმინეს და მოკლეთ მოუჭრეს:

— არც ერთი სიტყვა!

მაგრამ რას არ მისწვდება ადამიანის ბრწყინვალე გონება. და აი, მანაც გამოიგონა: სახე გაუბრწყინდა, ზეზე წამოდგა და ჩქარი ნაბიჯით გაეშურა რიყისაკენ, მოაგროვა კენჭები, გაივსო თეთრი ხალათის ორივე ჯიბე და გასწია იქითკენ, საიდანაც ბაყაყების ყიყინი მოისმოდა.

— ტყაპ, — ესროლა ერთს. ბაყაყმა მაშინვე ჩაიწყვიტა ხმა. — ეგეც შენ! — მიაძახა გახარებულმა ექიმმა. ახლა მეორე მხარეს მიბრუნდა.

— ტყაპ! — იქაც მოადინა კენჭმა ტყაპანი და კონცერტის მთავარმა მონაწილე ბაყაყმა სუნჯალი გაჭკრა.

— ეგეც შენ! — სიამოვნებით ჩაიციხა ექიმმა და ჩამოდენიმე ნაბიჯი გადადგა წინ, მარჯვენა მხრიდან კვლავ მოისმოდა სუსტი ყიყინი. ექიმმა სასწრაფოდ ამოიღო ჯიბიდან კენჭი, ესროლა და

პირდაპირ დაღებულ პირში მოადინა კენჭმა ტყაპანი, ეგეც შენ, სამუდამოდ ჩაგაწყვეტინე თუ არა ხმა! — მიაძახა ექიმმა ხახადაჩენილ ბაყაყს.

ასე სწრაფად დაამთავრებინა მან ჭირვეულ ბაყაყებს გაუთავებელი კონცერტი აბანოების პირველ უბანზე და შემდეგ მეორე უბანისაკენ გასწია. მალე იქაც იმავე საშუალებით შესწყვიტა ბაყაყების გულის გამწვრივლებელი ყიყინი.

ამის შემდეგ ყოველ დღილი, აივებდა თუ არა ექიმი ჯიბეებს კენჭებით, წამოვიდოდა აბანოებისაკენ და საიდანაც კი მოესმოდა ბაყაყების ყიყინი, სწრაფად გაჩნდებოდა იქ, ერთი — ტყაპ! და მაშინვე ენას მუცელში ჩააკლებინებდა, თან ცალი თვალთ სამმართველოსაკენ იყურებოდა წარადგენდნენ თუ არა მას ჯილდოზე ასეთი ბრწყინვალე გამოგონებისათვის.

რამდენიმე ხნის შემდეგ მას კიდევ გამოუძახეს. მოუწონეს ბაყაყებთან ბრძოლის მეთოდი, შეაქეს, მაგრამ თან მეორე დავალება მისცეს.

— ავადმყოფები ჩივიან, — უთხრა მას უფროსმა, — № 1 აბაზანაში, როცა ქალები ჩადიან, ღიღი ხმაურიაო. უნდა მიიღო ზომები, რომ ხვალდან მათი კრინტი არ გავიგონო.

დაფიქრდა ექიმი. გულშემოყრილი წამოვიდა აბაზანებისაკენ. განა თვითონ არ იცის, რომ ზოგჯერ ქალები აბაზანაში ბაყაყებზე უარესად ყიყინებენ, მაგრამ რა ქნას, რა ზომები იხმაროს? გულშია ცხვირად შევიდა შიგ, უნდოდა დაეწყინებინა შიშველ ქალთა საზოგადოება, მაგრამ სულ სტვენით გამოაგდეს გარეთ. კენჭი ესროლოს იმთაც? რომ მოხვდეს რომელიმეს, ხომ საციმბიროდ გაუხდიან საქმეს.

— ოხ! ნეტავი ერთი... — და გამწარებულმა ექიმმა გულზე ხელი დაიკრა, — ისეთი ბედნიერი კაცი გამხადა, რომ როცა ქალები აბაზანაში ჩავლენ, ყველანი ბაყაყებად გადააქცია. მეტს არაფერს ვინატრებდი ქვეყანაზე. გიცოცხლია, მე მაგათზე გულს ვიჯერებდი. — ტყაპ, ვესროდი კენჭს, როგორც კი აყაყანდებოდნენ და ხელად ჩაჩუმიდებოდნენ. მათ კრინტს ვერავინ გაიგონებდა. ეხლა კი, გლახად არის ჩემი საქმე. აბა მე რა უნდა ვუყო ამ განებვირებულ ქალებს? ამათ მე კი არა, მთელი ჯანსახკომი რომ თავზე დაადგეს ისიც ვერაფერს უხამს.

— არა, მაინც რა უნდა გამოვიგონო სეთი. რა გააჩუმებს ლაპარაკის ხასიათზე მოსულ ქალებს! — უტებ, ხმამაღლა, წყრომით წამოიძახა მან და ცხვირზე ხელი მოივლო.

ასტამი



როდეთ მას შემდეგ დამიახლოვდა, რაც ჩვენთან განყოფილების გამგედ დანიშნეს. ეს თანამდებობა კარგად შეიფერა და კაცმა რომ სთქვას, საქმეს არც ისე ცუდად უძღვებოდა.

დღეობით ადამიანს საერთოდ ადვილად და უცებ უაზლოვდებოდა. ერთხელ იგი დირექტორის კაბინეტიდან გაოგნებული გამოვიდა. გაბრაზებული იყო. ქვედა ტუჩი უხრთოდა. ამიტომ დავასკვნენი, ალბათ შეაზურეს-მეთქი და ხმა არ გამოვიცა.

— მაშ ასე, არაფერს არ ვაკეთებ! ხედმეტი ვყოფილვარ ხომ? — მომადანა მე და უზნერულობა ვიგრძენი.

— არაფერს არ ვაკეთებ ხომ! — კიდევ დაიქაქანა და აცახცახებული ხელით ქუდს დაწვდა. კარები მიირაჯუნა.

აი, რაში ყოფილა თურმე საქმე. მას დიდი მისწრაფება ჰქონდა სწავლისადმი. ყოველ წელიწადს ერთი ორ-სამთვიანი ან ექვსთვიანი რაიმე კურსი რომ არ დაემთავრებინა, ისე ვერ მოისვენებდა. სულ მუდამ კითხულობდა. ბროშურებში იჭებოდა. გახეთქები ჯიბით დაჰქონდა, სანამ სულ არ ჩაეცრიცებოდა.

იმ დღეებში ცნობა მოვიდა, მოსკოვში ექვსთვიანი კურსებზე ჩვენი დაწესებულებიდან ერთი კაცი უნდა გაეგზავნათ. დღეობით გაიგო თუ არა ეს ამბავი, ვინმემ არ დამასწროსო და სულსიმოუთქმელად დირექტორთან შევარდა.

— აქ მაინც არაფერს აკეთებ, წადი, გაგიშვებ!
„არაფერს არ ვაკეთებო“, აი, თურმე რამ ამდგურია და აფორიაქა იგი, მაგრამ დირექტორს როგორ შეჰკადრებდა რაიმეს. დღეობით მაინც მიავლინეს კურსებზე. უკან რომ დაბრუნდა, ახალი დირექტორი დაუბნდა. გახალისდა, ისევე გამოცოცხლდა.

ძალიან გამაჯვირვა დირექტორთან დღეობით უეცარმა დამეგობრებამ. დირექტორი ბევრ ჩვენთანგან გადაუდგა, აქაოთა ძველი კადრი ხართო... მხოლოდ დღეობით გაუღიმა ბედმა. ყოველ თათბირზე, თუ კრებაზე ეს ჩვენი თმაგაჩეხილი გმირი გამოიჭიმებოდა დირექტორის გვერდით და თავისი მოყვარულნი ხმით ბუყბუყებდა:

— მართალია, ამხანაგებო, ძველი კადრები ცუდად ვმუშაობთ. დირექტორი ასჯერ და ზოგჯერ ათასჯერ მართალია! ჩვენ ვართ დამნაშავენი. ძველმა ხელმძღვანელობამ მცონარობას შეგვაჩვიო.

ძალიან უკუნებოდა ვიყავი. ახალი დირექტორი გადაამეკიდა. არ მოვწონვარ. მოხსნას მიპირებს. ჩემს შესახებ რაღაც მასალებს აგროვებს. ორი თვე არაა, რაც მუშაობას შეუდგა და ორი საყვედური გამომიცხადა. ჩემი ბრალია, რად გავეწერე იგი კედლის გახეთქი, ან რად გავაკრიტიკე კრებაზე... რა ვიცოდი, რომ დირექტორი კრიტიკას ვერ ტანდა!

ერთხელ დირექტორმა დამიძახა და კაბინეტში შესვლისთანავე დაურიდებლად მომხალა:
— უნდა მოგხსნა, აღარ მჭირდები. მიჩივლე სადაც გინდა!

— დღეობით დაუძახე! — უბრძანა მდივანს და ის იყო დღეობით შემოვიდა. დირექტორი ისევე ხარხარებდა. დღეობითაც გაიღიმა, გაიცინა! ხა-ხა-ხა!

— როგორ მუშაობს გაგნიძე? — იკითხა დირექტორმა და კმაყოფილებით მოღიმარე, ალერსიანი თვალებით შეხედა.

დღეობით სწრაფად გაიფიქრა: გაგნიძე ვმშაქი კაცია, ალბათ ისევე მოინადირა დირექტორის გული. დირექტორი რომ იცინის, ალბათ, ზავი ჩამოვარდნილა მათ შორის. აბა რისთვის იღიმება დირექტორი? რატომ უნდა გაუფუჭო ხასიათი?

— გაგნიძე ჩინებულად მუშაობს ყველა დავალებას კარგად ასრულებს. ძალიან მადლიერი უნდა ვიყოთ მისი. — ამბობდა დღეობით და შემომცინოდა: აი, მე როგორი ვარო! მაგრამ დირექტორს შეხედა თუ არაფერი ეცვალა. დირექტორი დღეობით, მუშტს კუმშავდა.

— სულელო, აბა რაებს როშავ! — იყვირა და მუშტი დაახალა მაგიდას. მინა გატყდა. წაუკითხავი წიგნები გადმოცვივდა.

— გაგნიძე კარგად მუშაობს?! რისთვის შეგყავარ შეცდომაში?! კარგად მუშაობს?!
ცოფს ყრიდა დირექტორი. დღეობით მოიკუნტა. თმები აეშალა, ფერი წაუვიდა.

— არა, ამხანაგო დირექტორო, მე ისე წამომცდა. სიმართლეს დავწერ და თფიციალურად წარმოგიდგენ. გაგნიძემ ჰკუჟა უნდა ისწავლოს. ის არაფერს არ მიკეთებს, რეკონარეა!

დღეობით მოულოდნელი მეტამორფოზით გავეშრი. გაცხებული შეეყურებდი ხან მას და ხან კიდევ ჩემზე მეტად გაცხებულ დირექტორს.

კლ. გოგიავა



1

— ეს რა ხათაში ჩავვარდი! ჩემი ხალა-სი წონა მინდა გავიგო, მაგრამ ტანისამოსი ხელიდან ვერ გამიშვია—ვაი თუ აშაცალონ მეთქი!



2

— შო, ასე სჯობია: ახლა ტანისამოსს გამოვწონი და ხალას წონასაც გავიგებ...

საგვარიდან მონაქამი

წადი, ჰკითხე...

ჩვენ გვეგონა

(თინათი)

გავიფიქრე: ორად თავიც გამიხეთქოს, გახეთქების ამბავს მაინც ვკითხავ ქეთოს,

მოვიკრიბებ ძალა და ვუთხარი ასე:
— ვინ არის, რომ გვაკლებს გახეთს, ცოდვით სავეს?

ქეთოს ხმა და წყრომა როგორც კვესი კვესავს!
მითხრა: — წადი, ჰკითხე დამტარებელ კესას.

— წადი, ჰკითხე ქეთოს! — მეუბნება კესა.

ეხლა ვისა ვკითხო, ვინდა დამამშვიდებს? —
კვლავ ძველ გახეთს ვიღებ — მათი გადამკიდე!

სიმღერა რკინიგზის სასადილოზე

სიტკბონი სასადილოსი როგორ გამოსთქვას. ენამან!
კარგ ადგილს „ჩაყუჩებულხარ“ შენმა მზემ, შენმა ლხენამან.

წყალსაც კი ფერსა შეუცვლი, რომ მოგკლას გულის ძვარამან!
გამგემ წყალ-ღვინით გაგვებრა, მუცელზე გასაბერავმან!

გაგნელი ბიკი

ჩვენ გვეგონა, მეტრეველი — ადგილმრეწვის დირექტორი (ვინც ერთ თვეში ხუთმეტ ათას მანეთს მაგრადა დაჰკრა ტორი),

სასჯელს ვედარ ასცდებოდა, მართალია — არაჭორი!
მაგრამ... საქმემ განისვენა — მაუღისქვეშ, პროკურორთან,

თვით კი „ზაგოტყვისირიოს“ პუნქტში გაგვიდირექტორდა!
ჩვენ გვეგონა, რომ იქ მაინც შეხლულდული მადა ჰქონდა!


რასა ბრძანებთ, რის შეხლუ უკა? შეცდომაა უეჭველი:
იქ მან თვრამეტ ათას მანეთს მოხდენილად დაჰკრა ხელი.

ჩვენ გვეგონა ახლა მაინც შეხდებოდა მას სასჯელი!
ღიან, ღიან, მეტრეველი: „დაისაჯა“ ერთი-ორად:

იგი ისევე მოგვეგონა ადგილმრეწვის დირექტორად!
ეს, ასეა, თუ ნათესავს დაიგულე ბროკურორად!


პეტრუჩიო

ნახ. ა. კანდელაკისა




1.

— მე ახლა გიჩვენებთ საინტერესო ნომერს.
გთხოვთ ადევნოთ თვალყურს!..



2.

— ამ წუთში მოხდება საოცრება, გთხოვთ ადევნოთ
თვალყურს.



3.

— ნეტავ რა დაემართა, რატომ არ ვარდებო?



4.

სარედაქციო კოლეგია: ი. გრიზაშვილი, კ. კალაძე, უჩა ჯაფარიძე, ს. ფაშალიშვილი, ვ. აბაშიძე (პ/მგ. რედაქტორი).

თბილისი. სატირიკო-იუმორისტული ჟურნალი „ნიანგი“. რედაქციის მისამართი: ლენინის ქ. № 28. ტელ. 3-10-49

ხელმოწ. დასაბ. 1945 წ. 26/VII ლ. პ. ბერიას სახ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 28. განტ. № 39. შტკ. № 915. ტირ. 7500. უგ № 01754.